

პროექტი

ბავშვთა ადრეული განვითარებისა და განათლების
საჭიროებების კვლევა
ბოშათა ეთნიკურ ჯგუფებში

საბოლოო ანგარიში

მაისი, 2015 წელი

პროექტის შესახებ

ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ინიციატივითა და ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვებმა“ განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ბოშათა ეთნიკურ პოპულაციაში ბავშვთა ადრეული განვითარებისა და განათლების სერვისების საჭიროებების შესწავლის მიზნით. კვლევა ერთის მხრივ მიმართული იყო მშობლების/ოჯახის წევრების მიერ დანახული საჭიროებებისა და ბავშვის შესაბამის სერვისებში ჩართვის მზაობის განსაზღვრაზე, მეორეს მხრივ, კი იმ ბავშვების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც საჭიროებენ ადრეული განვითარებისა და განათლების სერვისებს.

საწყის ეტაპზე, დონორთან შეთანხმებით სამიზნე პოპულაციად განისაზღვრა დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ჭოეთსა (ყოფილი ლენინოვკა) და ქობულეთში დასახლებული ბოშათა ეთნიკური ჯგუფები. მოგვიანებით, განათლების სამინისტროს წარმომადგენლის რეკომენდაციით და დონორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან შეთანხმებით, აღნიშნულ სამიზნე ჯგუფებს დაემატა გაჩიანის ბოშათა დასახლებაც.

განხორციელებული აქტივობები

საწყის ეტაპზე მოძიებული იქნა ის ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ბოშათა საკითხებზე და განხორციელდა შეხვედრები მათ წარმომადგენლებთან. კერძოდ, შეხვედრები განხორციელდა „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი კავკასიის“ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის წარმომადგენლებთან. შეხვედრები ემსახურებოდა სამიზნე პოპულაციის სპეციფიკის გაცნობას, მათთან მუშაობის გამოცდილების გაზიარებას და პროექტით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის თანამშრომლობის გზების დასახვას.

პროექტის გუნდის მიერ ასევე წარმართა მუშაობა კითხვარების შემუშავებაზე. შეიქმნა კითხვარები მშობლებისთვის/ოჯახის წევრებისთვის, მასწავლებლებისა და ბოშათა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის. მშობლებისთვის/ოჯახის წევრებისთვის განკუთვნილი კითხვარი მიმართული იყო ბავშვის ადრეული განვითარების/განათლების შესახებ ინფორმირებულობისა და დამოკიდებულებების, ქვეყანაში არსებული სერვისების ხელმისაწვდომობის და საჭიროების განსაზღვრაზე. მასწავლებლის კითხვარი მიმართული იყო ბოშა ბავშვების სასკოლო მზაობი, სკოლაში ჩარიცხვის შემდეგ ადაპტაციის სირთულეების იდენტიფიცირებასა და ბოშა მოსწავლეების საჭიროებების განსაზღვრაზე. ბოშებთან მომუშავე სტრუქტურების/ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის შემუშავებული კითხვარი კი ორიენტირებული იყო ბოშათა დასახლებებში ბავშვებთან დაკავშირებული სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა სახის საჭიროებების გამოვლენაზე. ასევე შეიქმნა სწრაფი შეფასების ინსტრუმენტიც, რომელიც განკუთვნილი იყო ბავშვების მოტორული, კოგნიტური, კომუნიკაციური და თვით-მომსახურების უნარების შეფასებისთვის განვითარების ასაკობრივი საფეხურების მიხედვით. კითხვარები ითარგმნა რუსულ ენაზე (რუსულენოვანი რესპონდენტებისათვის).

საველე სამუშაოებში ჩართული იყო ორგანიზაციის 4 ფსიქოლოგი, რომლებსაც ჰქონდათ კვლევის ჩატარებისა და ბავშვებთან მუშაობის სათანადო გამოცდილება. გათვალისწინებული იქნა რუსული ენის თავისუფლად ფლობაც. შესაბამისად, კითხვარების ჩატარება რესპონდენტებთან ხდებოდა ქართულ ან რუსულ ენაზე, თითოეული რესპონდენტის საჭიროების შესაბამისად.

ბოშათა დასახლებებში საველე სამუშაოები ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის კოორდინატორის და მის მიერ დასახელებული პირების დახმარებით (საჯარო სკოლების დირექცია, სკოლების მასწავლებლები, ადგილობრივი კოორდინატორები). გარდა იმისა, რომ მათი დახმარებით ხდებოდა იმ ოჯახების იდენტიფიცირება, რომლებსაც ყავდათ 0-6 წლის ასაკის ბავშვი, ასევე პროექტის გუნდის წევრები ვიზიტებს ახორციელებდნენ მათი თანხლებით. რამდენადაც აღნიშნულ პირებს ჰქონდათ სამიზნე ოჯახებთან მუშაობის გამოცდილება, მათი თანხლებით, მკვლევარებისათვის გამარტივებული იყო ბოშების ნდობის მოპოვება და თანხმობის მიღება კვლევაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

კვლევის ფარგლებში ინტერვიუები ჩატარდა 17 მშობელთან და ოჯახის წევრთან (6 დედასთან, 3 მამასთან, 6 ბებიასთან, 2 უფროს დასთან), სკოლის დაწყებითი კლასის 5 მასწავლებელთან (ქობულეთის #5 საჯარო სკოლა). რამდენიმე მშობელმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. ასევე, ინტერვიუ ჩატარდა სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც, რომლებსაც ჰქონდათ სამიზნე პოპულაციასთან მუშაობის გამოცდილება სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, კერძოდ: „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი კავკასიის“ თანამშრომელთან (ელენე პროშიკიანი) და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის კოორდინატორთან (ლელა ცქიტიშვილი), გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სოფელ აქთაქლიის გამგებელთან (ავთანდილ მარუაშვილი).

გარდა ამისა, მკვლევარი-ფსიქოლოგების მიერ შეფასდა 0-6 წლის ასაკის 32 ბოშა ბავშვი.

შენიშვნა: სამიზნე დასახლებებში 0-6 წ ასაკის ბავშვთა ოჯახების რიცხვი სავარაუდოდ უფრო მეტია, მაგრამ მოცემული კვლევის ფარგლებში სხვა ოჯახებთან დაკავშირება, ინტერვიუების ჩატარება და ბავშვების შეფასება ვერ მოხერხდა (ვერ მოხერხდა ამ ოჯახების მოძიება, უარი თქვეს, ან არ იმყოფებოდნენ ადგილზე).

ველზე მუშაობისას გადაღებული ფოტოები



კვლევის შედეგები

დემოგრაფიული და სოციალური ინფორმაცია

გამოკითხული 17 მშობლიდან /ოჯახის წევრიდან, 5 (ოჯახთან ერთად) ცხოვრობს გაჩიანში, 3 ჭოეთში, 9 ქობულეთში. მათ ოჯახებში მცხოვრები 0-6 წლამდე ასაკის ბავშვების ჯამური რაოდენობაა 35 (იხ.ცხრილი).

საცხოვრებელი ადგილი	რესპ. რ-ბა	0-6 წ ბავშვების რ-ბა რესპ.ოჯახებში
გაჩიანი	5	10
ჭოეთი	3	10
ქობულეთი	9	15
სულ	17	35

საცხოვრებელ გარემოზე დაკვირვების და ბოშა რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ოჯახების უმრავლესობა სიღარიბეში ცხოვრობს. 13 ოჯახი დარეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და იღებს სოციალურ დახმარებას (საარსებო შემწეობას). 10 რესპონდენტი თავად აღნიშნავს, რომ ფინანსური სირთულეების გამო უჭირთ ბავშვების საჭიროებების სათანადოდ დაკმაყოფილება. სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ადასტურებენ, რომ სამიზნე პოპულაციაში ოჯახების უმრავლესობა მძიმე ეკონომიკურ-სოციალურ პირობებში ცხოვრობს, სადაც ბავშვების ბაზისური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაც კი სათანადოდ არ ხდება.

ბოშა რესპონდენტების გადმოცემით, გარდა სოციალური დახმარებისა, შეფასებული ოჯახების უმრავლესობა (13 ოჯახი) სარგებლობს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო

პროგრამით. სახელმწიფოს სხვა სოციალურ სერვისებზე და პროგრამებზე ოჯახებს მწირი ინფორმაცია აქვთ.


შეფასებული 32 ბავშვიდან (17 ბიჭი, 15 გოგო), 9 ცხოვრობს გაჩიანში, 8 ჭოეთში, 15 ქობულეთში. შეფასებული ბავშვების მინიმალური ასაკია 5 თვე, მაქსიმალური 6 წელი. ერთის გარდა ყველა ბავშვს აქვს დაბადების მოწმობა და ყველა ბავშვის მშობელს აქვს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა (მშობლების/ოჯახის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად).

იმ ბავშვების დიდი ნაწილისათვის (19 ბავშვი), რომლებსაც ასაკი და განვითარების დონე მეტყველების საშუალებას აძლევს, ბოშურის გარდა სამეტყველო ენას წარმოადგენს რუსული (გაჩიანში 2 ბავშვი, ჭოეთში 7, ქობულეთში 10). შედარებით ნაკლები ბავშვი, კერძოდ 11 ბავშვი ფლობს ქართულ ენას (ჭოეთში 6, ქობულეთში 5).

საცხოვრებელი ადგილი	შეფასებული ბავშვების რ-ბა	ქართული ენის მცოდნე ბავშვ.რ-ბა	რუსული ენის მცოდნე ბავშვ.რ-ბა
გაჩიანი	9	0	2
ჭოეთი	8	6	7
ქობულეთი	15	5	10
სულ	32	11	19

რესპონდენტების მხრიდან ბავშვების ძირითად მზრუნველად სახელდება დედა, მამა, ბებია და უფროსი და. (იხ დიაგრამა ქვემოთ).

ვინ არის 0-6 წ ბავშვების ძირითადი მზრუნველი



სხვა წყაროებით (ბოშათა პოპულაციასთან მომუშავე პირები, დაკვირვება) მიღებული ინფორმაციით, ხშირად ადგილი აქვს ბავშვების უგულვებელყოფას, ან არასათანადო ზრუნვას. გარდა ამისა, პრობლემად სახელდება ისიც, რომ უფროს დედ-მამიშვილებს უმცროსებზე ზრუნვის პასუხისმგებლობის დაკისრების გამო ხელი ეშლება სასკოლო განათლების მიღებაში.

ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა

მშობლებისა და ოჯახის წევრების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, არც შეფასების მომენტისათვის და არც წარსულში, ბავშვებს არ ჰქონიათ რაიმე სერიოზული სახის ჯანმრთელობის პრობლემა (გარდა ერთი ბავშვისა). 2 ბავშვთან მიმართებაში აღინიშნება მხედველობის სირთულე - სიელმე (1 ცხოვრობს გაჩიანში, 1 ქობულეთში).

რესპონდენტების გადმოცემით, 3 ბავშვი დაბადებულია სახლის გარემოში (2 ჭოეთში, 1 ქობულეთში). უნდა აღინიშნოს, რომ როგორც განათლების სამინისტროს, ისე უმცირესობების საკითხთა ცენტრის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მშობიარობა სახლის

პირობებში სამიზნე პოპულაციასთან საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა და შესაბამისად, თავად ბომა რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლოა სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს.


მშობლებისა და ოჯახის წევრების თანახმად, 24 ბავშვი იმყოფება აღრიცხვაზე ადგილობრივ ჯანდაცვის დაწესებულებაში (9 გაჩიანში მცხოვრები ბავშვი, 8 ქოეთში მცხოვრები, 7 ქობულეთში მცხოვრები). 22 ბავშვს სრულად აქვს გეგმიური გეგმიური აცრები (7 გაჩიანში მცხოვრები, 8 ქოეთში მცხოვრები, 7 ქობულეთში მცხოვრები), ნაწილს არასრულად, ან საერთოდ არ აქვს ჩატარებული აცრა (2 გაჩიანში მცხოვრები, 5 ქობულეთში მცხოვრები). დანარჩენების შესახებ ინფორმაცია არ მოიპოვება.

საცხოვრებელი ადგილი	პოლიკლინიკაში აღრიცხვაზე მყოფი ბავშვ.რ-ბა	ბავშვ რ-ბა, რომელთაც გეგმიური აცრები სრულად აქვთ ჩატარებული
გაჩიანი	9	7
ქოეთი	8	8
ქობულეთი	7	7
სულ	24	22


ადრეული განვითარების მომსახურების საჭიროება

სამივე დასახლებაში, გამოკითხულ მშობლებს და ოჯახის წევრებს (ერთის გარდა) საერთოდ არ აქვთ ინფორმაცია ბავშვთა ადრეული განვითარების სახელმწიფო ქვეპროგრამის არსებობის შესახებ. მკვლევარის მიერ ქვეპროგრამის მიზნებისა და არსის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შემდეგაც რესპონდენტები უარყოფენ აღნიშნული მომსახურების საჭიროებას, მიიჩნევენ რა, რომ მათ ბავშვებს განსაკუთრებული საჭიროება არ აქვთ და ნორმის ფარგლებში მიმდინარეობს განვითარების პროცესი.

რაც შეეხება ფსიქოლოგების მიერ ბავშვების უნარების შეფასებას 4 სფეროში (მოტორიკა, კომუნიკაცია, კოგნიტური, თვით-მომსახურება) განვითარების ასაკობრივი საფეხურების გათვალისწინებით, მხოლოდ 3 ბავშვია ისეთი, რომლებთანაც უნარების არანაირი დეფიციტი ვლინდება. სხვებთან შეფასების შედეგად იკვეთება გარკვეული უნარების დეფიციტი ერთ ან მეტ სფეროში, რის გამოც საერთოდ ვერ ასრულებენ ასაკის შესაბამის ამათუიმ დავალებას, ან უჭირთ მისი შესრულება განვითარების სხვადასხვა სფეროში. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს ბავშვების რაოდენობას, რომლებიც საერთოდ ვერ ასრულებენ ასაკის შესაბამის ერთ ან მეტ დავალებას. *(შენიშვნა: მოტორიკის მაჩვენებელი მეტწილად განპირობებულია წვრილი მოტორიკის უნარების დეფიციტით).*




ხოლო ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს ბავშვების რაოდენობას, რომლებსაც უჭირთ ასაკის შესაბამისი ერთი ან მეტი დავალების შესრულება. (შენიშვნა: მატორიკის მაჩვენებელი მეტწილად განპირობებულია წვრილი მატორიკის უნარების დეფიციტით).



სახელმწიფოსაჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ხშირად ბოშათა ოჯახებში არსებობს არაერთი რისკ-ფაქტორი, რამაც შესაძლოა ნეგატიური გავლენა მოახდინოს ბავშვის ჯანსაღ ფიზიკურ და ფსიქიკურ განვითარებაზე. ეს ფაქტორებია: ძალადობა ბავშვზე და დედაზე (მათ შორის ფეხმძიმობის პერიოდში), მშობიარობა ნაადრევ ასაკში და მშობიარობა სახლის პირობებში (რაც ზრდის პრე და პოსტ-ნატალური პრობლემების რისკს ბავშვებში), ბაზისური მოთხოვნილებების არასათანადოდ დაკმაყოფილება, ბავშვის საჭიროებების შესახებ ცოდნის დეფიციტი და გაუთვალისწინებლობა, ხელმიშვეებულობა და სხვა.

ადრეული განათლების მომსახურების - საბავშვო ბაღების საჭიროება


ზოგადად, საბავშვო ბაღში ბავშვების ჩართვის საკითხთან დაკავშირებით მშობლები და ოჯახის წევრები პოზიტიურად საუბრობენ. მათი უმრავლესობა (16 რესპონდენტი) საბავშვო ბაღის დანიშნულებას და მნიშვნელობას სწავლასა და ცოდნის გაღრმავებაში ხედავს. ამასთან, სახელდება სხვა დადებითი მხარეებიც, როგორცაა: საკუთარი დროის გამოთავისუფლება (3 შემთხვევაში), ბავშვებთან ურთიერთობის შესამღებლობა (5 შემთხვევაში), ქართულად საუბრის სწავლა (4 შემთხვევაში), კვება (2 შემთხვევაში).



რესპონდენტების უმრავლესობა (14 მშობელი) აღნიშნავს ბავშვების საბავშვო ბაღში ჩართვის სურვილსა და საჭიროებას (შეფასების მომენტისათვის აღნიშნული რესპონდენტების ოჯახებში ცხოვრობს 27 ბავშვი, რომლებსაც აქვთ საბავშვო ბაგა-ბაღით სარგებლობისთვის დაშვებული ასაკი).

გამოკითხული მშობლებისა და ოჯახის წევრების უმრავლესობა (15 რესპონდენტი) საუბრობს იმაზე, რომ მათი ბავშვებისათვის ბაღი ხელმისაწვდომი არ არის. უმეტესად ამის მიზეზად სახელდება მათ საცხოვრებელ ადგილთან ახლოს საბავშვო ბაღის არ არსებობა (11 რესპონდენტის შემთხვევაში). უნდა ითქვას, რომ ჭოეთსა და გაჩიანში საერთოდ არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღები. ქობულეთში მცხოვრები რესპონდენტების ნაწილიც

ამბობს, რომ მათ საცხოვრებელთან ახლოს არ მდებარეობს ბავშვი. ქობულეთში მცხოვრები 3 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ბავშვების ბავშვის გარეთ დარჩენა განპირობებულია საჯარო ბაღებში ადგილების არარსებობით, ხოლო 1 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ არ იცის რა არის საჭირო ბავშვის ბაღში ჩასარიცხად.



სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგები, რომლებიც ასწავლიან ბავშვებს, საკუთარი სამუშაო პრაქტიკიდან გამომდინარე საუბრობენ ამ ბავშვების სკოლისათვის არასაკმარის მზაობაზე. განსაკუთრებით გამოყოფენ ერთის მხრივ ჰიგიენის, ქცევისა და სოციალური ნორმების არ ცოდნას, მეორეს მხრივ კი ბავშვის აკადემიური (წინა სასკოლო) უნარების დეფიციტს. პედაგოგების თქმით, მათ ბავშვებს არ ჰქონიათ სკოლაში შემოსვლამდე საბავშვო ბაღებში სიარულის გამოცდილება, რისი შესაძლებლობაც, მათი აზრით, შეამცირებდა დასახელებულ სირთულეებს სკოლაში სწავლის დაწყებისას.

როგორც მასწავლებლები, ისე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც ადასტურებენ საბავშვო ბაღების ხელმისაწვდომობის საჭიროებას. მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბავშვთა პოპულაციისთვის საბავშვო ბაღს სარგებლის მოტანა სხვადასხვა კუთხით შეუძლია, რამდენადაც ხელს შეუწყობს ბავშვების საგანმანათლებლო, სოციალური, ფიზიკური საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებას და შესაბამისად ჯანსაღ განვითარებას.

დასკვნა

- ❖ მიუხედავად იმისა, რომ სამიზნე პოპულაციაში 0-6 წ ასაკის ბავშვებში არ ვლინდება სერიოზული სახის ჯანმრთელობის პრობლემა / სამედიცინო დიაგნოზი, რაც ხშირად განაპირობებს ხოლმე განვითარების შეფერხებას სხვადასხვა სფეროში, შეფასებული ბავშვების უმრავლესობასთან მაინც შეინიშნება განვითარების გარკვეული დონის შეფერხება ერთ, ან ერთზე მეტ სფეროში, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორებით, მათ შორის განვითარებისათვის საჭირო სტიმულაციის ნაკლებობით, სახლის პირობებში ბავშვის ადრეული განათლების არასათანადო ხელშეწყობით და ადრეული განათლების მომსახურების არახელმისაწვდომობით.

საბოლოო ჯამში, მიუხედავად მშობლებისა და ოჯახის წევრების მხრიდან ადრეული განვითარების მომსახურების საჭიროების ცალსახად უარყოფისა, გარკვეული საჭიროება მაინც ვლინდება, რამდენადაც აღნიშნული მომსახურება განკუთვნილია განვითარების პრობლემებისა, ან ამ მხრივ რისკის მქონე ბავშვებისათვის.

- ❖ ბოშათა სამივე პოპულაციაში იკვეთება ბავშვების საბავშვო ბაღებში ჩართვის საჭიროება და მშობლებისა და ოჯახის წევრების მზაობა ამისათვის. საბავშვო ბაღებში ბავშვების ჩართვის შესაძლებლობის გაჩენის სარგებლობა ნათელია, რამდენადაც:
 - ✓ ბავშვი ხელს შეუწყობს ბავშვის სკოლისათვის მომზადებას;
 - ✓ ბავშვი ხელს შეუწყობს სოციალური და ქცევის ნორმების ათვისებას;
 - ✓ ბავშვი ხელს შეუწყობს ქართული ენის სწავლას;
 - ✓ ბავშვი ხელს შეუწყობს ადგილობრივ თემში ინტეგრაციას;
 - ✓ ბავშვის გარემოში ბავშვის ჯანსაღი კვების კომპონენტი მნიშვნელოვნად დაეხმარება ოჯახებს, რომლებსაც ამის საშუალება არ აქვთ;

- ✓ ბავშვი ხელს შეუწყობს ბავშვებში ჰიგიენური ნორმების ათვისებას და შესაბამისი თვით-მომსახურების უნარების გამომუშავებას;
- ✓ ბავშვი დღის გარკვეულ მონაკვეთში მაინც შეამცირებს ბავშვების უმეტესად უფრო დატოვების და უგულვებელყოფის რისკს;
- ✓ გამოთავისუფლდება ბავშვზე მზრუნველის დრო. შესაბამისად, მოზრდილებს მიეცემათ საშუალება ეს დრო შემოსავლის მიღებისთვის გამოიყენონ, ხოლო უფროს დედ-მამიშვილებს, რომლებსაც უმცროსებზე ზრუნვის პასუხისმგებლობა აკისრიათ, ექნებათ შესაძლებლობა იარონ სკოლაში გაკვეთილებზე და იმეცადინონ სათანადოდ.

ზემოთ აღნიშნულის შესაბამისად, მნიშვნელოვანია არასამთავრობო და სახელმწიფო უწყებების მობილიზება საბავშვო ბავშვის მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რაც შეამსუბუქებს ოჯახების სოციალურ სირთულეებს და ხელს შეუწყობს ბავშვების განვითარებასა და განათლებას. საბავშვო ბავშვის გახსნა ბოშათა აღნიშნულ დასახლებებში სარგებელს მოუტანს არა მარტო ბოშა მოსახლეობას, არამედ სხვა ადგილობრივ მოსახლეობასაც, რომლებიც ეკუთვნიან სხვა ეთნიკურ უმცირესობას ან ქართველ მოსახლეობას და აქვთ მსგავსი სოციალური სირთულეები.

- ❖ პოზიტიური ნიშნით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ შეფასებულ ბავშვებთან მიმართებაში უკვე ხელმისაწვდომია ის აუცილებელი დოკუმენტაცია (ბავშვის დაბადების მოწმობა, მშობლების პირადობის დამადასტურებელი მოწმობები), რისი არარსებობაც ხშირად საჯარო სერვისებით მომსახურების მიღების და სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობისთვის დამაბრკოლებელ ფაქტორს წარმოადგენს ხოლმე. ასევე პოზიტიური ნიშნით უნდა გამოიყოს ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით სარგებლობა და შესაბამის სამედიცინო პუნქტებში ბავშვების აღრიცხვაზე ყოფნა.

- ❖ და ბოლოს, მნიშვნელოვანია მშობლებთან მუშაობა, რათა მოხდეს მათი ცნობიერების ამაღლება და ინფორმირებულობის გაზრდა ბავშვის განვითარების საჭიროებებისა და ბავშვებთან დაკავშირებული სხვა საკითხების შესახებ. ამავე დროს უმნიშვნელოვანესია მათი ინფორმირებულობის გაზრდა სახელმწიფო პროგრამებისა და ამ პროგრამებით სარგებლობისთვის საჭირო პროცედურების შესახებ. ასევე მნიშვნელოვანია თვით-ადვოკატების უნარების განვითარება და კომუნიკაციის გაუმჯობესება ბოშა მოსახლეობასა და ადგილობრივ საჯარო სექტორს შორის (განსაკუთრებით სოციალურ მუშაკებთან) ბავშვებისათვის უკეთესი გარემოს უზრუნველყოფისათვის.